საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტს
თბილისი, მარშალ გელოვანის 6

10. 06. 2019

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 13 მაისს ჩვენს მიერ დეპარტამენტში გადმოგზავნილი იქნა მასალები ქობულეთში, კაიკაციშვილის ქუჩა №3-ში, (GPS კოორდინატები: (X-731247; Y-4632708), შპს „ვიქტორია"-ს მიერ დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებულ საქმიანობის სკრინინგის პროცედურის გასავლელად.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა თხევადი გაზის სარეალიზაციო ობიექტი (წერტი), რომელსაც 2017 წლის ბოლოს შეუჩერდა ექსპლოატაცია და დაიგეგმა ობიექტის რეკონსტრუქცია-მშენებლობა. აქვე გაცნობებთ, რომ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაგეგმილია მშენებლობა წარმართოს შპს „ჯორჯიან რითეილ სერვისი"-მა, რომელსაც შემდგომ ობიექტი გადმოეცემა არენდული უფლებებით და ის მოახდენს თხევადი საწვავის, მათ შორის: ბენზინის, დიზელის საწვავისა და თხევადი აირის მიღება-რეალიზაციას.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე დამატებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად. გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

შპს „ჯორჯიან რითეილ სერვისი"-ს
დირექტორი /გიორგი ხვიჩია/

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 8531
"12" 06 2019

ქუთაისი
ფოსტის ოფისი N 3
ჯან "ჯანმრთელობა ადგილი სამედიცინო"
ტელეფონი 445 466 987
ტ. 577 25 29 19

ქ. ბაქრაძის,
ქუჩის მეოთხეული 6
ბაქრაძის ტაძრის, ფ. ლიფარტის მუზეუმის
სამეურნეოსთან ერთად ეკლესიის
ეზოსთან ერთად ტაძრის

საქართველოს ფოსტა
0100005960981
Georgian Post
საქართველ
GEORGI

09. 05. 2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტს

№ 7136
16 05 2019
3/ნოგ

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ ქალაქ ქობულეთში, კაიკაციშვილის ქუჩა №3-ში, (GPS კოორდინატები: (X-731247; Y-4632708), არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2231 m^2 მიწის ფართობზე ექსპლოატაციაში შედის შპს „ვიქტორია"-ს კუთვნილი ავტოგასამართი სადგური, რომელიც არენდული უფლებებით, ვადით 5 წელი გადმოეცემა შპს „ჯორჯიან რითეილ სერვისი"-ს და მისი დანიშნულება იქნება თხევადი საწვავის, მათ შორის: ბენზინის, დიზელის საწვავისა და თხევადი აირის მიღება, შენახვა და რეალიზაცია.

საწარმოს ტერიტორიაზე სულ განთავსებულია 5 ერთეული სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების საწვავის შესანახი საცავები. მათგან 3 განკუთვნილია ბენზინისათვის, (2 ცალი 26000 ლიტრი და 1 ცალი 49000 ლიტრი), 1-დიზელის საწვავისათვის (49000 ლიტრი). და 1 (5 ტონა) განკუთვნილი იქნება თხევადი აირის მიღება-შენახვა-რეალიზაციისათვის.

საწარმოში საწვავების რეალიზაცია მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ჩამოსახსხმელი დგარების მეშვეობით.

არსებული წარმადობიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგური, მისი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში საშუალოდ წელიწადში რეალიზაციას გაუკეთებს: დიზელის საწვავს 3000 ტონას და ბენზინს 2000 ტონას. ამასთან ერთად, თხევადი გაზის სარეალიზაციო უბანზე წელიწადში რეალიზაციას გაუკეთდება 300 ტონა თხევად გაზს, მათ შორის 100 ტონას საყოფაცხოვრებო ბალონებით ხოლო 200 ტონა რეალიზებული იქნება ავტოტრანსპორტის გამართვისათვის.

საწარმოს წყალმომარაგების ერთი წყარო გააჩნია, ქალაქ ქობულეთში მოქმედი კომპანია „ქობულეთწყალი"-ს კუთვნილი ცენტრალური მაგისტრალიდან. გამოყენებული წყლის ჩაშვება მოხდება ტერიტორიაზე არსებულ დამაგროვებელში (შამბოში). რაც შეეხება საწარმოს ტერიტორიის მონარეცხ წყალს-სპეციალური

შემკრების მეშვეობით დაგროვდება გამწმენდ-სალექარში და შემდგომ ჩაეშვება სანიაღვრე არხში.

საწარმო განთავსებულია ე.წ. გელაურის დასახლებაში, ქობულეთი-ხუცუბნის ავტომაგისტრალის მიმდებარედ, შავი ზღვიდან 4 კმ-ს დაშორებით. საწარმოს განთავსების ტერიტორია არ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის, ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიებს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები. გაანგარიშებულია ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა (ნახშირწყალბადები ჯამურად) გაფრქვევის რაოდენობები და დადგენილია, რომ მათი რაოდენობა დაშვებული ნორმების ფარგლებშია. რაც შეეხება საწარმოო ხმაურს ასევე მინიმალურია და სავსებით აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ადგილი აქვს როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სახიფათო ნარჩენების სახეობებია: ნავთობდამჭერის ნალექი (კოდი-130503*), დაღვრილი ნავთობი (050105*), ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები (200121*). სახიფათო ნარჩენების მაქსიმალურად უსაფრთხო მართვისათვის საწარმოს ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს უზრუნველყოს მათი შეგროვება და საწარმოს ტერიტორიაზე დროებით შენახვა, შემდგომ მათი ტერიტორიიდან გატანა და შესაბამის ლიცენზირებულ სამსახურზე გადაცემა არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ნავთობდამჭერში დაგროვილი ნალექი და ობიექტის ტერიტორიაზე დაღვრილი და შეგროვებული ნავთობი დაგროვდება ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ კასრებში და შეინახება ობიექტის ტერიტორიაზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ სათავსოში. რაც შეეხება მათი ტერიტორიიდან გატანას, მიმდინარე პერიოდისათვის ადმინისტრაცია ახორციელებს მოლაპარაკებებს ისეთი საწარმოსა და ორგანიზაციებთან, რომელიც უფლებამოსილია და გააჩნია სათანადო ნებართვა ხსენებული ნარჩენების ტერიტორიებიდან გატანის შესახებ. ამ საქმიანობის განხორციელება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება არსებული ნორმების შესაბამისად. ინფორმაცია და რეკვიზიტები იმ საწარმოს და ორგანიზაციის შესახებ, რომელთანაც საწარმო გააფორმებს ხელშეკრულებას სახიფათო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის თაობაზე, წარმოდგენილი იქნება სამინისტროში საწარმოს ნარჩენების მართვის გეგმასთან ერთად.

ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე საწარმო იმუშავებს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 365 სამუშაო დღით წელიწადში.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მოთხოვნებების შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

შპს „ჯორჯიან რითეილ სერვისი”-ს

დირექტორი /გიორგი ხვიჩია/

საქართველოს ფოსტა
GEORGIAN POST